განმცხადებელი : მარიამ სამხარაძე

თარიღი : 13-01-2025
მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 5
ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : აზერ მამედოვი, 24News.ge
სადავო მასალა : 4 იანვარი, 2025 წელი, ბაქოს ტელევიზიის ჟურნალისტმა ისმაილ იაშაროღლუმ საქართველოს აზერბაიჯანელების შესახებ ამბიციური მოსაზრებები გააჟღერა, რამაც პროტესტი გამოიწვია...
- https://www.facebook.com/watch/?mibextid=wwXIfr&v=2810526085781467&rdid=ngYrYyqr0IjqVwy7
ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : 2025 წლის 4 იანვარს აზერბაიჯანულმა მედია-საშუალებამ Baku TV-იმ მოამზადა დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით "ჩრდილო-დასავლეთის ქარი" https://www.youtube.com/watch?v=OKEQFNLA7L4, რომელიც მოგვითხრობს საქართველოში საპარლამენტო არჩევნების შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ, ფილმში საუბარია რომ საპროტექსტო ტალღას საქართველოში დასავლეთი აფინანსებს. ფილმის 35 წამიანი მონაკვეთი საქართველოში მოქმედმა ონლაინ მედიამ - 24news.ge-მ გაავრცელა საკუთარ ფეისბუქის გვერდზე. სიუჟეტში ვრცელდება ცრუ ინფორმაცია, თითქოს „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ მარნეულის ოფისი (სიუჟეტში არასწორად მოხსენიებული, როგორც USAID-ის მარნეულის ოფისი) რაიმე ფორმით ჩართულია მარნეულში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელების საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში ჩართვასა და მათი ფინანსურ წახალისებაში. სიუჟეტის არც ერთი წინადადება არ შეესაბამება სინამდვილეს და აღნიშნულ სააგენტოს უკვე მივმართეთ მოთხოვნით, წაშალონ აღნიშნული ვიდეო. ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია არც ჩვენ და არც იმ სამოქალაქო პირებს, რომლებიც მარნეულის სამოქალაქო სექტორს წარმოადგენენ და ჩვენთან ერთად ითხოვენ ცრუ ინფორმაციის გავრცელების შეწყვეტას. „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ უკვე 13 წელია ხელს უწყობს საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერებას და სამოქალაქო ჩართულობის წახალისებას.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები